თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

სამაგისტრო ნაშრომი: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძლიერი და სუსტი მხარეები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: თორნიკე შურღულაია

სტუდენტი: ნონა ხუციშვილი

თბილისი, 2020, საქართველო

ჩვენ, ქვემეორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ნონა ხუციშვილის შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძლიერი და სუსტი მხარეები“ და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი:

ავტორის ხელის მოწერა:

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დადებითი და უარყოფითი მხარეები. ნაშრომში ძირითადად განხილულია ეროვნული უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი ფუნდამენტური დოკუმენტები, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, კიბერუსაფრთხოების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

კვლევის შედეგების ძირითად წყაროს წარმოადგენს სხვადასხვა ლიტერატურის მიმოხილვა და ანალიზი. ამ კვლევის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება სერიოზული გამოწვევების და პრობლემების წინაშე დგას. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის არ ქონა.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს ოკუპირებული ტერითორიების დეოკუპაცია. 2008 წლეს რუსეთის და საქართველოს ომმა ამ პრობლემის გადაწყვეტა უფრო გაართულა. თუმცა ომის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება ფრთხილი და სწორი ნაბიჯებით ცდილობდა პრობლემის მოგვარებას . რუსეთის ფედერაციის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიას დაცდილობს მსოფლიოს დააჯეროს, რომ ეს ტერიტორიები საქართველოს არ ეკითვნის. თუმცა საქართველოს ხელისუფლებას ამ საკითხს სათანადო ყურადღებას არ უთმობს. ამის შედექგია ქვეყანაში მიმდინარე ეგრედწოდებული „ბორდერიზაციის „ პროცესი.

საქართველოს აქვს მოძველებული ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. ეს დოკუმენტი სტრატეგიულ ანალიზზე, მეტად პოლიტიკურ გზავნილებს შეიცავს, ასევე ძლიერ მხარეებზე, მეტად სუსტი მხარეები გააჩნია. ამ დოკუმენტში სათანადოდ ან საერთოდ არ არის განხილული ქვეყნის წინაშე არსებული და პოტენციური საფრთხეები.

კონცეფციაში სუსტ მხარეებს წარმოადგენს საშინაო და საგარეო პრობლემები. საშინაო პრობლემებს წარმოადგენს ეკონომიკური არამდგრადობა (სიღარიბე, უმუშევრობა, ეკონომიკური შემოსავლების არასწორი გადანაწილება და ა.შ) და პოლიტიკური საკითხები (დემოკრატიის უკუსვლა). საგარეო პრობლემებში ერთიანდება ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებზე დამოკიდებულება და რეგიონის მერყევი მდგომარეობა. ამგვარად თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია დღეს საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებს არ პასუხობს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ უკვე ორი წელია საქართველოს არ აქვს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია და სამოქმედო ახალი გეგმა. კიბერ სივრცის დაცვა სერიოზულ სირთულეებთანა დაკავშირებული. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის კიბერ სივრცის დაცვა ისეთივე მნიშვნელოვანი უნდა იყოს, როგორც საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო სივრცეების დაცვაა.მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მსოფლიო ადრე თუ გვიან ახალი ტიპის ომში ჩაებმება. ასეთი ტიპის ომი, შესაძლოა გაცილებით დიდი ზიანის მომტანი იყოს ვიდრე ტრადიციული ომი.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მთავარ დადებით მხარეს წარმოადგენს ის რომ იგი მრავალ კომპონენტს მოიცავს. ეროვნული უსაფრთხოებ არ გულისხმობს, მხოლოდ შეიარაღებას, თავდაცვას და დიპლომატიურ ურთიერთობებს. იგი მოიცავს ყველა იმ საჭირო სფეროს, რომელიც მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის.

კვლევის საფუძველძე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეპტუალური და სტრატეგიული დოკუმენტები მოძველებულია და არ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, ადრე თუ ჰაერში, წყალზე და ხმელეთზე ამ სამ სივრცეში მიმდინარეობდა პაექრობა დღეს კიდევ 2 სივრცე არის ბრძოლის ასპარეზი, კოსმოსი და კიბერსივრცე.

The paper discusses positive and negative aspects of Georgia's national security. The paper mainly discusses the fundamental documents important for national security, the concept of national security, the cyber security strategy and the action plan.

The main source research results is to findanalysis of various literature. Based on main source research, we can say that Georgia's national security is facing serious challenges and problems. One of the challenges for Georgia's national security is the lack of a national security strategy.

The de-occupation of the occupied territories is an unresolved problem of Georgia's national security. In 2008, the war between Russia and Georgia made it more difficult to resolve this issue. However, after the war, the Georgian government tried to solve the problem with careful and correct steps. The goal of the Russian Federation is to annex the occupied territories of Georgia and try to convince the world that these territories do not belong to Georgia. However, the Georgian government does not pay proper attention to this issue. This is supported by the so-called "borderization" process in the country.

Georgia has an outdated concept of national security. This document contains more political messages on strategic analysis, as well as on the strengths and weaknesses. This document does not adequately or at all address the potential threats facing the country.

Weaknesses in the concept are domestic and foreign problems. Domestic problems include economic instability (poverty, unemployment, misallocation of economic income, etc.) and political issues (the decline of democracy). The foreign problems combine the country's dependence on international economic processes and the volatile state of the region. Thus, we can boldly say that the concept of national security does not meet the challenges facing Georgia today.

It is also important to note that Georgia has not had a cyber security strategy or new action plan for two years. Protecting cyberspace is associated with serious difficulties. For the national security of Georgia, the protection of cyberspace should be as important as the protection of air, land and sea areas. Scientists suggest that sooner or later the world will be

involved in a new type of war. This type of war may be far more damaging than traditional warfare.

The main positive side of Georgia's national security is that it includes many components. National security does not only mean armaments, defense, and diplomatic relations. It covers all the necessary areas that are important for the development of the country.

Based on the research, we can say that the conceptual and strategic documents of Georgia's national security are outdated and do not meet modern challenges, whether in the air, water and land in these three areas, there are two more spaces today: Space and Cyberspace.

სარჩევი

რეზიუმე..... 3

შესავალი..... 8

1.საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება..... 10

1.1საქართვეოს ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემა.....14

1.2 რუსეთის ფედერაცია..... 16

2. საქართველის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განსაზღვრა..... 20

2.2 საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დადებით მხარეები..... 22

2.3 საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სუსტი მხარეები..... 24

3. კიბერუსაფრთხოება..... 31

3.1 კიბერსაფრთხეები..... 32

3.2 პოტენციური მოწინაღმდეგე ქვეყნები..... 38

3.3 სტრატეგიული ქვეყნები..... 41

3.4სოციალური მედია და კიბერუსაფრთხოება..... 43

დასკვნა..... 45

გამოყენებული ლიტერატურა..... 49

შესავალი

სანამ დავიწყებთ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საკითხების განხილვას მანდე განვიხილოთ თუ რა არის ეროვნული უსაფრთხოების არსი. ამსთან დაკავშირებით არა ერთი მოსაზრება არსებობს. ვლადიმერ სვანაძე თავის ნაშრომში ბევრი განმარტება მოჰყავს ეროვნული უსაფრთხოების შესახებ, თუმცა ალბათ ერთ-რთი სწორი განმარტებაა: „ეროვნული უსაფრთხოება ეს არის სახელმწიფო სტრატეგიისა და მიზნების ოფიციალურად მიღებული შეხედულებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაცვას პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო, ინფორმაციული, ტექნოგენური, ეკოლოგიური ან სხვა ხასიათის გარე და შიდა საფრთხეებისგან, არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.“ სვანაზე, 2015 გვ. 182). ეროვნული უსაფრთხოება შედგება რამოდენიმე კომპონენტისაგან, ესენია:

- სახელმწიფო უშიშროება;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოება;
- ტექნოგენური უსაფრთხოება;
- ეკოლოგიური უსაფრთხოება;
- პოლიტიკური უსაფრთხოება;
- სამხედრო უსაფრთხოება;
- ეკონომიკური უსაფრთხოება;
- ენერგეტიკული უსაფრთხოება;
- ინფორმაციული უსაფრთხოება;
- პიროვნების უსაფრთხოება;

ეროვნული უსაფრთხოების დაცვა ეს არის ზემოთ ჩამოთვლილი ყველა კომპონენტის გამართული მუშაობა, რათა მოხდეს შესაძლო პრობლემების, საფრთხეების დროულად არიდება, ასევე შესაძლო სააფრთხეების დროს მოხდეს

სწორი და ადეკვატური რეაგირება. მისი მთავარ ამოცანად შეიძლება ჩაითვალოს მოქალაქის სტაბილური ეკონომიური მდგომარეობის ჩამოყალიბება, დაცვა და მისი კეთილდღეობის განვითარება.

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა ნიშნავს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობის დაცვას, ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობას, ჯანდაცვის სექტორის გამართულობას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, დამნაშავეებთან ბრძოლას ტექნოლოგიური უზრუნველყოფის დაცვას და სტიქიური უბედურებისგან დაცვას. ეროვნული უსაფრთხოების დაცვისთვის, ასევე საჭიროა შესაბამის უწყებების განვითარება, მოდერნიზაცია და შესაბამისი დოკუმენტების შემუშავება, რომლებიც ერთგვარ სახელმძღვანელოს ან სამოქმედო გეგმას წარმოადგენს კრიტიკულ სიტუაციებში.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების აქტუალობა გამოწვეული არ არის, მხოლოდ ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევებით და რთული გარემოთი, არამედ იმ უწყებების გადაწყვეყილებები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამ სფეროს კოორდინირებაზე და პოლიტიკის დაგეგმვაზე.

მარტინ ედმონსი ფიქრობდა, რომ უსაფრთხოების სისტემის საზღვრების დასადგენად საჭიროა მისი ფუნქციების განსაზღვრა. იგი უსაფრთხოების სისტემას ყოფს ორ ნაწილად, ძირითად ამოცანად და ფუნქციებად. ეროვნული უსაფრთხოების ძირითად ამოცანაში ედმონსი მოიაზრებს, სახელმწიფო ინსტიტუტების და მოქალაქეების დაცვას ფიზიკური საფრთხის ყველა ფორმისგან. ხოლო ფუნქციებში მოიაზრებს გადაწყვეტილებების მიღება-ადმინისტრირებას, ოპერატიულ მოქმედებებს, დაზვერვასა და საკონსულტაციო საქმიანობას. თუმცა მხოლოდ, ფუნქციების განსაზღვრა არ არის საკმარისი მათი შემსრულებელი დაწესებულებების ზუსტი განსაზღვრისთვის. ძირითად პრობლემას წარმოადგენს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები და საფრთხეების ცვალებადობის სიხშირე.

ედმონსი თავის ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს უსაფრთხოების პოლიტიკაში ტრადიციულ საფრთხეებზე. ვინაიდან დღეს უსაფრთხოების პოლიტიკა ახალი გამოწვევების წინაშე დგას. ეს გამოწვევებია: ორგანიზებული დანაშაულები, ნარკობიზნესი, ტრეფიკინგი, ტერორიზმი და ამით დაკავებული არასახელმწიფოებრივი აქტორები, რომლებიც დიდ ყურადღებას იპყრობენ. ეს პრობლემები ზოგიერთი სახელმწიფოს უსაფრთხოებას სერიოზულ ზიანს აყენებს, რადგან ქვეყანა სუსტდება და კორუფცია დომინანტი ხდება.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება დღეს ბევრი და საკმაოდ სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. ქვეყნის ძირითად საგარეო საფრთხეს წარმოადგენს ჩრდილოელი მეზობლისგან მომდინარე საფრთხეები, სამხრეთ კავკასიში არსებული კონფლიქტი (მთიანი ყარაბახი) და კიბერუსაფრთხოება. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს დემოკრატიის უკუსვლა, რომელიც თავის მხრივ იწვევს სასამართლო სისტემის

ჩამონგრევას, შიდა ეკონომიკის დაზიანებას, კორუფციის წარმოშობას, საქართველოს მოქალაქეების უფლებების შეზღუდვას და ა.შ. ამ პრობლემებთან გასამკვლავებლად აუცილებელ პირობას წარმოადგენს შესაბამისი სამოქმედო გეგმების და სტრატეგიების არსებობა სადაც ზუსტად და მკაფიოდ იქნება აღწერილი და გაწერილი თითოეული პრობლემა და მასთან გმკლავების მეთოდები.

საქართველოს წარსულს თუ გადვხედავთ დავინახავთ, რომ ქვეყანამ საკმაოდ რთული გზა გამოიარა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგ ბევრი ბრძოლის გადატანა მოუხდა დამოკიდებლობის მოსაპოვებლად და ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად, ამის მუხედავად ქვეყნის 20% ოკუპირებულია. საქართველომ გამოიარა სამხედრო გადატრიალებები და რევუულუცია. ამ კრიზისული ვითარების სინთეზმა გამოიწვია ქვეყნის დასუსტება, ეკონომიკური კრიზისი, კორუპცია, სოციალური უფლებების შეზღუდვა, კრიტიკული იფრასტრუქტურის არქონა და ა.შ.

საქართველოს ხელისუფლება, შეიძლება, ითქვას რომ დღეს „პანიკურ პოლიტიკას“ იყენებს. „პანიკური პოლიტიკა“ გულისხმობს ადამანის უფლებების და დემოკრატიული პროცესების შეზღუდვას, რაც იწვევს მოქალაქეთა უფლებების შეზრუდვას, სახელმწიფოს მხრიდან ჩარევები სხვადასხვა სფეროებში და სახელმწიფო დაწესებულებეში (მედია, სასამართლო, ეკონომიკა და ა.შ). ქვეყანაში ასეთი პოლიტიკის გატარებამ, საბოლო ჯამში შეიძლება გამოიწვიოს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი ფუნქციის დაკარგვა და იმის საშიშროება, რომ თავად გახდეს საფრთხე. განვითარებული და დემოკრატიული ქვეყნები ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ცდილობენ დაიცვან ეკონომიკა, ინფორმაცია და კომუნიკაცია, კულტურა და განათლება.

ქვეყანაში უსაფრთხოების ცნების და შესაბამისი პოლიტიკური სექტორების განვითარება და რეფორმა, შესაძლებელია კრიტიკული პრობლემების მიზეზი გახდეს. ნებისმიერი სისტემისთვის მნიშვნელოვანია გარემოსაგან გამიჯვნა და მასზე რეაგირება. გარემო უსაფრთხოების სექტორისთვის ორ დატვირთვას ატარებს, იგი საფრთხების და საზოგადოებრივი მოლოდინების არეალია, სადაც უსაფრთხოება პრევენციულ აქტორს წარმოადგენს. უსაფრთხოების ცნების გაფართოება და განვითარება იწვევს დაინტერესებული სააგენტოების და პირების რაოდენობის

ზრდას. საქართველოში ამ კუთხით განვითარება პირობითად შეიძლება დავყოთ სამ ნაწილად „ვარდების რეულუციი“-დან 2008 წლის ომამდე, ომიდან 2014 წლამდე და 2014 წლიდან დღემდე.

„ვარდების რეულუცი“-ის, შმდეგ 2005 წელს საქათრთველოს პარლამენტმა პირველად დაამტკიცა „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“. ამ დოკუმენტის მიზანი იყო ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების განვითაერება, ეროვნული ღირებულების და ინტერესების დაცვა, ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებული რისკების, გამოწვევების და საფრთხეების აღწერა, რომელზეც უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

2007 წელს დამტკიცდა დოკუმენტი „საქართველოს საფრთხეების შეფასების 2007–2009 წწ. დოკუმენტი“. ამ დოკუმენტს საიდუმლო ვერსია ჰქონდა. ამ დოკუმენტის მიზანი იყო საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების იდენტიფიცირება. 2008 წლის ომმა კი ამ დოკუმენტების რელევანტურობა ეჭვქვეშ დააყენა. სათანადოდ ვერ მოხდა საფრთხების შეფასება, ასევე ამ ომმა მკაფიოდ აჩვენა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის და უწყებათშორისი კორდინაციის გაუმართაობა. ამის შემდეგ ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატმა დაიწყო საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისიტემაში არსებული ნაკლოვანებების იდენტიფიცირებისა და მათი გამოსწორების პროცესი.

დაიგეგმა ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის (რაც, თავისი არსით, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვას წარმოადგენს) სამ ეტაპად განხორციელება;

- ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისა და საფრთხეების შეფასების დოკუმენტის ადაპტირება;
- უწყებების დონეზე სტრატეგიების შემუშავება;
- ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავება, რომელიც განსაზღრავდა ეროვნული უსაფრთხოების მთავარ პრიორიტეტებს და ერთიან ეროვნულ სტრატეგიას მისი შემუშავებისა და განხორციელების თვალსაზრისით;

საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ამ პროექტის განხორციელება. პირველ ეტაპზე, ეროვნული უშიშროების აპარატის კოორდინაციით უწყებთშორისი სამუშაო ჯგუფებმა შეიმუშავეს „საქართველოს საფრთხეების შეფასების 2010-2013წ.წ. დოკუმენტი“, რომელიც 2010 წელს პარლამენტის მიერ იქნა დამტკიცებული. ამავე აპარატის კოორდინაციით განახლდა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის დოკუმენტი, რომელიც 2011 წელს დამტკიცდა. მომდევნო წელს დაიწყო მუშაობა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებზე. ეს დოკუმენტიც საჯარო უნდაყოფილიყო, როგორც ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. თუმცა ამ დოკუმენტის შემუშავება არ მოხდა, შესაბამისად არც სამ ეტაპიანი გეგმა არ განხორციელებულა ბოლომდე.

სახელმწიფო უსაფრთხოების და კრიზისის მართვის საბჭომ, პრემიერ-მინისტრის დავალებიღ 2014 წელს დაიწყო მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმების პროცესი. „რეფორმის მიმდინარეობისას ხელისუფლებამ ნაჩქარევად წარადგინა ფრაგმენტული კონცეფცია, რომელიც არ შეესაბამებოდა სამართალდამცავ სისტემაში არსებული პრობლემის მასშტაბებს. კონცეფცია მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უსაფრთხოების სამსახურების ტექნიკური გამიჯვნის საკითხს და მისგან გამომდინარე ცვლილებებს შეეხებოდა და თვისობრივ ცვლილებას არ ისახავდა მიზნად.“ (EMC 2015)

უსაფრთხოების სამსახურის რეფორმამ საქართველო ბევრი გამოწვევის წინაშე დააყენა. ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ამ რეფორმებს დადებით მხარეებზე მეტი უარყოფითი მხარეები აქვს. იგი მთელ რიგ ხარვეზებს შეიცავს მაგალითად ზოგიერთ უწყებაში არ ხდება თანხების კონტროლი, რადგან იგი გასაიდუმლოებულია, არ ხდება ძალაუფლებების სწორი გადანაწილება და ა.შ. საბოლოოდ ამ რეფორმების შედეგად ქვეყანას არ აქვს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, ეროვნული უსაფრთხოების განახლებული და ეფექტური კონცეფცია და კიბერუსაფრთხოების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. და ეს იმის ფონზე, რომ ქვეყანას კონფლიქტი აქვს რუსეთის ფედერაციასთან და არის სუსტი და პატარა სახელმწიფო.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემა

ოკუპირებული ტერიტორიები საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის ყველაზე მთავარ და გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტს წარმოადგენს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია და და ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრები მოქალაქეების ინტეგრაცია საქართველოს მოქალაქეებთან.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ეს საკითხი უფრო გამწვავდა და მისი გადაწყვეტა გადაწყვეტა უფრო რთული გახდა ბევრი ფაქტორის გამო. საქართველოს ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა ძალიან ფრთხილ და ზუსტ ნაბიჯების გადადგმა იყო საჭირო, სწორედ ამიტომ ხელისუფლებამ ეს საკითხი პრიორიტეტად აქცია. აქტიურად დაიწყო პრობლემის გადაჭრის ხერხებზე მუშაობა.

2010 წლის მომხდარი ფაქტი, შეიძლება ჩავთვალოთ საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი დეოკუპაციის პროცესის დასაწყებად. საქმე იმაშია, რომ ამ წელს გამართულ ევროსაპჭოს სხდომაზე საქართველოს მესამე პრეზიდენთი მიხეილ საკაშვილი სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ საქართველო იღებს ვალდებულებას ცალმხრივი ცეცხლის განუცხადებლობას, რაც შემდეგ წერილობით დაუდასტურა ნატოს, ეუთოს, გაეროს და ამერიკის შეერთებული შტატის პრეზიდენტს.

საქართველო შემდეგ წლებშიც აქტიურად აგრძელებდა დეოკუპაციის პროცესის გაგრძელებას. საქართველოს მთავრობა ოკუპაციასთან ბრძოლას მშვიდობიანი გზებით ცდილობდა, თუმცა კარგად აცნობიერებდა, რომ ამ პრობლემის გადაჭრას, მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ შეძლებდა, საჭირო იყო უფრო დიდი ძალის ჩართულობა. საქართველოს მიზანი იყო საერთაშორისო თანამეგობრობა, უფრო აქტიურად ჩართულიყო ამ პრობლემაში. საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარება სჭირდება იმიტომ რომ აიძულონ რუსეთი შეასრულოს მასზე დაკისრებული ძალის გამოუყენლობის ვალდებულება. ასევე დაიცვას საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომელიც რუსეთს

ავალდებულებს პატივი სცეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მისი თანხმობის გარეშე არ განათავსოს საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული ძალები.

საქართველოს ხელისუფლება დეოკუპაციის პროცესის დასაჩქარებლად ისე საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიურობა სჭირდება, რადგან რუსეთი აიძლულონ შეასრულოს 2008 წელს ევროკავშირის ხელმძღვანელობით, რუსეთსა და საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღებული შეთანხმები ყველა პუნქტი. რომელიც გულისხმობს საქართველოს ტერიტორიებიდან გაიყვანოს თავისი შეიარაღებული ჯარები.

საქართველოს მცირე გამარჯვებას წარმოადგენს ის რომ მსოფლიომ რუსეთის ფედერაცია აღიარა ოკუპანტ ქვეყანად და საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია რუსეთის მიერ. თუმცა ეს არ არის საკმარისი პრობლემის გადასაჭრელად. მნიშვნელოვანია საქართველომ შეინარჩუნოს საერთაშორისო საზოგადოებისგან ოკუპირებული ტერიტორიების აღიაარების პროცესი, რადგან რუსეთი აქტიურად ცდილობს მსოფლიოს დააჯეროს, რომ ოკუპირებული ტერიტორიები არ ეკუთვნის საქართველოს და ეს რეგიონი არასდროს მოექცევა საქართველოს იურისდიქციაში. მიზნს განხორციელებაში რუსეთი აქტიურად იყენებს პრობაგანდას საქართველოს წინააღმდეგ. გარდა ამისა რუსეთმა ეს რეგიონი აღიარა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ასევე მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს ისიც რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე ეთნიკური წმენდა და დევნა ნახსენებია „გაეროს გენერალური ასამბლეის 2008, 2009, 2010 და 2011 წლების რეზოლუციები, გაეროს უშიშროების საბჭოს 1993 წლის რეზოლუცია, ეუთოს ბუდაპეშტის 1994 წლის, ლისაბონის 1996 წლის და სტამბოლის 1999 წლის სამიტების დოკუმენტები და ევროპის პარლამენტის 2011 წლის 17 ნოემბრის რეზოლუცია“ (გვენეტაძე, 2017, 219).

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ოკუპირებულ რეგიონში ე.წ ადმინისტრაციული“საზღვრის“ არსებობა, რომელიც 2008 წლიდან მოყოლებული დღემდე იცვლება IDFI კვლევების მიხედვით

საქართველომ რუსეთ- საქართველოს ომის შემდეგ 151 დასახლებულ პუნქტზე დაკარგა ძალაუფლება. ამის მიუხედავად საქართველოს ხელისუფლება დიდ ყურადღებას არ აქცევს ამ პრობლემას. არ ატარებს შესაბამის ღონისძიებებს, რათა რუსეთი აიძულოს შეწყვიტოს ეგრედწოდებული „ბორდერიზაციის“ პროცესი. საქართველოსთის მნიშვნელოვანია ამ პრობლემის ისევ პირველ ადგილზე დაყენება არსებობს ბევრი პოტენციური საფრთხეები, რომელიც ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოება სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

რუსეთის ფედერაცია

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს საქართველოს ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან. ეროვნული უსაფრთხოების ყველაზე მთავარ საფრთხეს რუსეთი წარმოადგენს. მას თავისი გეგმები აქვს პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მიმართ, რუსეთს სურს ისევ თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს ყველა ქვეყანა და ამავდროულად მიისწრაფის მსოფლიო ასპარეზზე გლობალური მოთამაშის რანგში დაბრუნებისკენ. ამ მიზნის მიღწევა სამეზობლოში საკუთარი ექსკლუზიური გავლენის აღდგენის გარეშე მოსკოვს არ წარმოუდგენია. სწორედ ეს უნდა მივიჩნიოთ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების სათავედ საქართველოსთვის, როგორც სუვერენული სახელმწიფოსთვის, რომელსაც ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის არჩევანი აქვს გაკეთებული. მაშინ, როდესაც რუსეთი ლამის მთელი მსოფლიოს მასშტაბით ძალზე აქტიურად მოქმედებს საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად, ბუნებრივია, საქართველო უსაფრთხოდ ვერ იგრძნობს თავს. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია სწორად შეფასდეს, თუ რა კონკრეტული საფრთხეები არსებობს რუსეთის მხრიდან და რამდენად ეფექტურია საქართველოს უსაფრთხოების სისტემა ამ საფრთხეებთან გამკლავების თვალსაზრისით. ეს საკითხი განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ

გავითვალისწინებთ, რომ საქართველოზე ბევრად უფრო ძლიერ და განვითარებულ ქვეყნებსაც კი უჭირთ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებთან გამკლავება.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, რუსეთის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბება. მიზნის მისაღწევად მას ჯერ მოუწევს მეზობელი ქვეყნები მოაქციოს მის უპირობო გავლენის ქვეშ. ამ მიზნის მიღწევა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რუსეთის ფედერაციისთვის.

„რუსეთის ასეთი მიდგომა არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას ატარებენ მისი მეზობელი ქვეყნები. არამედ, მოსკოვის მიმართ საქართველოს ხელისუფლების კონსტრუქციული პოლიტიკის პირობებშიც, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები ძლიერია, რადგან საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, მაქსიმუმ შესაძლოა მხოლოდ რუსეთის მოქმედების ტაქტიკა შეიცვალოს, ხოლო რუსეთის სტრატეგიული მიზანი უცვლელი რჩება. შესაბამისად რუსეთის აგრესია და ქმედებები საქართველოს მიმართ, უპირველეს უნდა განვიხილოთ, როგორც სტრატეგიული მიზნის მიღწევის გზა.“((ბილანიშვილი, 2018)

რუსეთის ქმედებები პირდაპირ დაკავშირებულია მის ძირითად ქვე მიზნებთან, რათა მიაღწიოს მიაღწიოს მთავარ მიზანს. ამ მიზნების მიღწევას სხვადასხვა ქვეყნებთან სხვადასხვა მიმართულებებს იყენებს. საქართველოსთან მიმართებაში მის მიზნებს წარმოადგენს:

- ოკუპირებული ტერიტორიების მიმართულება -რუსეთისმიზანია, რომ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის სამუდამო ანექსია, რაც გულისხმობს, რომ ეს ტერიტორიები აღარ იყოს საქართველოს ნაწილი და მსოფლიოს ქვეყნებმა ეს ფაქტი მიიღონ.
- საგარეო პოლიტიკის მიმართულება - რუსეთი ცდილობს ჩაერიოს საქართველოს საგარეო პოლიტიკაში. მისი მიზანია საქართველოში საგარეო პროცესები წარიმართოს მოსკოვის ინტერესებიდან გამომდინარ. ამის მისაღწევად ცდილობს ეტაპობრივად ჩაერიოს ამ პროცესებში. ამავდროულად რუსეთის ამოცანაა საერთაშორისო საზოგადოება დაარწმუნოს რომ

საქართველოს არჩევან გახდეს ევროპის სრულფასოვანი წევრი ქვეყანა ეს არის მხოლოდ ცალკეული პოლიტიკოსების არჩევანი და ამ არჩევანს არ ემხრობა საქართველოს მოქალაქეები.

- შიდა პოლიტიკის მიმართულება - „რუსეთის კიდევ ერთ ამოცანაა გააძლიეროს საქართველოში ანტიდასავლური განწყობები, ამის მისაღწევად რუსული პროპაგანდა აქტიურად იყენებს საერთო რელიგიურ და კულტურულ ფასეულობებს. ამავე დროს, რუსეთს სურს მოახერხოს საქართველოში მმართველობის სისტემისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანი ფუნქციონირების მოშლა, ხელი შეუწყოს სხვადასხვა ტიპის პრობლემების გაღვივებას ქვეყნის შიგნით, რათა შეასუსტოს შიდაპოლიტიკური სტაბილურობა.“ (ბილანიშვილი, 2018)
- ეკონომიკური მიმართულება - „რუსეთი ამოცანაა მაქსიმალურად გაზარდოს რუსულ ბაზარზე საქართველოს დამოკიდებულება და გააძლიეროს საქართველოს ეკონომიკის საკვანძო სექტორებში (ტრანსპორტი, კომუნიკაციები, ენერგეტიკა) რუსული კომპანიების ჩართულობა. ამავე დროს, რუსეთს სურს მოახერხოს მისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ე.წ. ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო დერეფნის პროექტში საქართველოს ჩართვა, რაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გავლით სატრანზიტო მოძრაობის აღდგენას მოიცავს.“(ბილანიშვილი, 2018)
- სამხედრო მიმართულება - რუსეთი მიისწრაფვის შექმნას ძლიერი სამხედრო სივრცეები, როგორც ჩვენი ქვეყნის ოკუპირებულ ტეროტორიებზე ასევე რეგიონის მაშტაბით და შეეცდება თავისი პოზიციების გამყარებას, ამით რუსეთი რეგიონში მოიპოვებს სამხედრო უფირატესობას, რაც თავის მხრივ ხელს შეუშლის ნატოს ჯარების განლაგებას საქართველოს ტერიტორიებზე. საბოლოოდ კი რუსეთი ძალისმიერი მეთოდებით და მუქარებით საქართველოზე მოახდენს ზეწოლას.

რუსეთს კონკრეტული ამოცანები აქვს გადასაჭრელი. ამ ამოცანების ზუსტად იდენტიფიცირება საკმაოდ რთულია, თუმცა მათზე მეტ-ნაკლებად მართებული წარმოდგენის შექმნა მაინც შესაძლებელია, თუ გავაანალიზებთ ბოლო პერიოდის

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა დინამიკას, უახლოეს ისტორიულ გამოცდილებასა და ჩვენს რეგიონში და მის მიღმა რუსეთის ბოლოდროინდელ ქმედებებს.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განსაზღვრა

ქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებაში გარდა აღმასრულებელი ხელისუფლებისა, მონაწილეობას იღებენ, ასევე პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების წევრები. საბოლოოდ კი უსაფრთხოების კონცეფციას ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. ამ დოკუმენტის მიზანია ეროვნული ღირებულების და ინტერესების დაცვა და განხორციელება, ასევე იმ რისკების და გამოწვევების ადეკვატური შეფასება, რომელიც ქვეყნის წინაშე არსებობს. გარდა ამისა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის საფუძველზე იქმნება ახალი გეგმები და სხვადასხვა დარგობრივი სტრატეგიები, რომელიც როგორც წესი ამ კოცეფციის ცვლილებასთან ერთად უნდა განახლდეს.

საქართველოს თავდადაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია განსაზღვრულია შემდეგნაირად: „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია არის ფუძემდებლური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს და ეროვნულ ინტერესებს, აყალიბებს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, განსაზღვრავს მის წინაშე არსებულ საფრთხეებს, რისკებსა და გამოწვევებს და ადგენს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.“ (საქართველოს პარლამენტის დადგენილება, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, გვ 3).

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მოიცავს: საქართველოს ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს, საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარ საფრთხეებს, რისკებს და გამოწვევებს, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ვიწრო პარტიული მიკერძოებული პოლიტიკისთვისაც, როდესაც ხელისუფლება იყენებს ეროვნულ უსაფრთხოებას ქვეყნის შიგნით პოლიტიკური პოზიციების გასამყარებლად და საკუთარი ოპონენტების დასასუსტებლად. იმ შემთხვევაში, თუ

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია პარტიულად მიკერძოებულ ხასიათს ატარებს, ის ვერ გამოდგება ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის ობიექტურ და სასარგებლო გზამკვლევად, რადგან ასახავს ქვეყნის მმართველი რეჟიმის ინტერესებს.

საქართველოს ხელისუფლებისთვის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის დოკუმენტის შექმნა სირთულეს წარმოადგენს, რადგან საქართველომ არც თუ დიდი ხანია რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა, ამიტომ ქვეყანა ჯერ კიდევ სუსტია და გარეშე აქტორებზეა დამოკიდებული. ამას ემატება ისიც, რომ ქვეყანას ჰყავს რთული სამეზობლო. გარდა, ამისა საქართველოსთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ერთიანობის შენარჩუნება. ამის მაგალითს წარმოადგენს 1990-93-წლებში მომხდარი დაპირისპირება საქართველოს სამთავრობო ჯარებსა და სეპარატისტულად განწყობილ ოსურ და აფხაზურ შეიარაღებულ ჯგუფებთან. კონფლიქტის მოგვარების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა სამოქალაქო ომი, რომელიც დაახლოებით იმავე პერიოდში განვითარდა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოსა და აფხაზეთში და ქართულ-ოსური კონფლიქტი. ამ დაპირისპირებაში საქართველოს ხელისუფლება დამარცხდა, რასაც სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დე-ფაქტო გამოყოფა მოჰყვა.

ამ კონფლიქტმა შედეგად, ქვეყანაში წარმოშვა მთელი რიგი პრობლემებისა, როგორიცაა: ქვეყნის ტერიტორიების 20% ოკუპაცია, ათასობით ტოლვილის იძულებით გადაგილება, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისები. 2008 წელს მოხდა ფართომაშტაბიანი საბრძოლო შეტაკებები რუსეთსა და საქართველოს შორის. რუსეთის სამხედრო ძალები უკანონოდ შეიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე და განახორციელა სამხედრო მოქმედებები. ამ ომში საქართველოს ხელისუფლება მორიგი კრახი განიცადა. ამის შემდეგ ქვეყანა გაცილებით შორს დგას ამ საკითხის მოგვარებისაგან ვიდრე, რუსეთ-საქართველოს ომამდე. ამ ყველაფეს ისიც ამძაფრებს, რომ რუსეთის ფედერაციამ მხარი დაუჭირა ოსეთის და აფხაზეთის ხელისუფლებას, ორივე ტერიტორიული ერთეული დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა.

რუსეთ-საქართველოს ომმა საქართველოს ნათლად დაანახა თუ რა შედეგები შეიძლება მოუტანოს მეზობელი დიდი ქვეყნების ძალისმიერმა გატარებულმა

პოლიტიკამ. 2008 წელს რუსეთი თავს დაესხა საქართველოს და რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების უკანონო მითვისების პროცესი დღემდე გრძელდება.

დასაწყისში ვახსენე „დამოკიდებულება“, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მეზობელ ქვეყნებში და რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი. სამხრეთ კავკასიაში მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და გადაუჭრელ პრობლემად რჩება. მიუხედავად იმისა რომ 1994 წელს მხარეებს შორის მოხდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების გაფორმება, დღემდე მაინც რჩება კონფლიქტის განახლების საშიშროება. კონფლიქტის განახლების შემთხვევაში ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: რუსეთი, თურქეთი და ირანი, განსხვავებული ინტერესები აქვთ ძალთა ბალანსის გადანაწილებაზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი ამ ქვეყნების ჩრდილ ქვეშ რჩებიან. ამის ფონზე მატულობს კონკურენციის რისკი და რაც უფრო ფართო მაშტაბიანი იქნება დაპირისპირება მით უფრო დამაზიანებელ და არსებით შედეგებს მოუტანს საქართველოს.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის სწორი შემუშავება საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. კონცეფციის შემუშავების დროს მნიშვნელოვანია საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ შეძლოს და შეცდომების ზღვარი მაქსიმალურად დაწიოს, რადგან თითოეული პოტენციური შეცდომის შედეგები ძალზე მნიშვნელოვანია.

საქართველოს ეროვნული უსაფთხოების დადებითი მხარეები

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის რომ კონცეფციაში არ არის განხილული მხოლოდ სამხედრო და დიპლომატიური საკითხები. დოკუმენტში განხილულია საქართველოს ეროვნული იტერესები, გამოწვევები, რისკები და შემდეგი: ეკონომიკური, სოციალური, ენერგეტიკული, ეკოლოგიური და დემოგრაფიული გამოწვევები.

კონცეფციის დასაწყისში ვკითხულობთ „საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა, დაამკვიდრონ „დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო“, უზრუნველყონ „ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი“, განამტკიცონ „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა...“(საქართველოს პარლამენტის დადგენილება, „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ,2005 გვ.3). ეს სიტყვები ამკვიდრებს დემოკრატიის სტანდარტებს და საქარტველოს ხელისუფლებას ანგარიშვალდებულს ხდის, როგორც საშინაო, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. ამგვარად საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩაატაროს დემოკრატიის გზით, როგორც ეს მოხდა 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს. ვინაიდან ეს არის ქვეყნის განვითარებისთვის და წინსვლისთვის აუცილებელი პირობა. თუ საქართველოს ხელისუფლება გადაუხვევს დემოკრატიის გზას შემცირდება ამერიკის შეერთებული შტატების და ევროკავშრის მხარდაჭერა, რაც უკვე დაწყებულია.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს უმრავლესობის და ეთნიკურად უმცირესობაში მყოფი მოსახლეობის ურთიერთობა. კონცეფციაში ნათლად არის აღწერილი უმცირესობების უფლებები და მათი მნიშვნელობა საქართველოს დემოკრატიის განვითარებაში. მათ ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც უმრავლესობას. ეთნიკური უმცირესობის მონაწილეობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში მნიშვნელოვანი ელემენტია დემოკრატიული და სამართლეობრივი საზოგადოებისთვის.

მიჩნეულია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პირველად დაფიქსირდა უმცირესობების უფლებების დარღვევის ფაქტი და აღნიშნულ ნიადაგზე წარმოიშვა კონფლიქტი. კონფლიქტის მიზეზს წარმოადგენდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის მნიშვნელოვანი იდეოლოგიური ფაქტორი „საქართველო ქართველებისთვის“. ევროპის საბჭოს სტანდარტების აღიარების შემდეგ მოხდა უმცირესობების უფლებების აღიარება და მათი როლის განსაზღვრა ქართულ საზოგადოებაში.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს უსაფრთხოების დილემა. კონცეფციაში ნათლად არის განმარტებული რომ „სახელმწიფოს უსაფრთხოება ვერ განმტკიცდება მეორე სახელმწიფოს უსაფრთხოების შეზღუდვის ხარჯზე“ და ბოლოს კონცეფციის ბოლო დადებით მხარეს წარმოადგენს ქვეყნის პოზიცია კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხი, განსხვავებით მეზობელი ქვეყნებისგან. აზერბაიჯანი და რუსეთი უარს ამბობენ თავი შეიკავონ საბრძოლო მოქმედებებისგან თუ შეთანხმება ვერ ან არ შედგება.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სუსტი მხარეები

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მთავარ სისუსტეს წარმოადგენს სტრატეგიული ანალიზის უკან დაწევა და პოლიტიკური გზავნილების წინ წამოწევა. კონცეფციაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკურ გზავნილებზე. დოკუმენტის კიდევ ერთ სუსტ მხარეს წარმოადგენს არარეალური მოლოდინები.

ესპანელი ექსპერტები (ჟოან ლუის პერეს ფრანსეჩი, ტომას ხილ მარკესი, მანუელ ბალბე მალოლი, როსერ მარტინესი, მონსერატ ეგლესიასი) ეროვნული უსაფრთხოებას ყოფენ საშინაო და საგარეო ხასიათის საფრთხეებად. საშინაო საფრთხეებს წარმოადგენს ეკონომიკური პრობლემები და პოლიტიკური საკითხები, ხოლო საგარეო საფრთხეებში კი კავკასიის მერყევი მდგომარეობის არასათანადო შეფასება და ყურადღების არ გამახვილება და მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების გამოსწორების შესაძლებლობების არასათანადოდ განხილვა.

2014 წელს გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებამ გარკვეულ წილად განსაზღვრა ძირითადი მიზნები ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის სრულყოფისთვის, რაც გულისხმობს დემოკრატიული გარემოს გაუმჯობესობას, საგარეო პოლიტიკაზე კონცენტრირებას, მეზობელ ქვეყნებთან უსაფრთხოების

პრობლემების გადაჭრას, სახელმწიფოს ბრძოლას სიღარიბის შემცირებისთვის, ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას და ა.შ. ამ გზავნილების განხორციელება ქვეყნისთვის არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რათა გახდეს განვითარებული და ერთიანი სტაბილური ქვეყანა.

როგორც ზევით ვახსენე კონცეფციის ერთ-ერთ სისუსტეს წარმოადგენს ეკონომიკური არასტაბილურობა, რომლის შესახებაც დოკუმენტში მხოლოდ გაკვრით არის ნახსენები. ამ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებაზე. გაკვრით არის ნახსენები სეცესიური რეგიონებისა და უმცირესობების საკითხი. დოკუმენტში საერთოდ არ არის ნახსენები შიდაუსაფრთხოების რისკების შესახებ.

საქართველოს მოქალაქეების ძირითად პრობლემას წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკური და სასამართლო სისტემები. კონცეფციაში ვკითხულობთ, რომ საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობას ფუნდამენტური ღირებულება აქვს, ხოლო „კეთილდღეობისკენ სწრაფვა“ საქართველოს მოსახლეობის „ფუნდამენტური უფლებაა“. ანუ სტაბილური გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა საქართველოს პოლიტიკისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, რათა დაკმაყოფილებულ იქნეს ქართველი ხალხის ფუნდამენტური უფლება „კეთილდღეობისკენ სწრაფვა“. კონცეფციაში დაშვებულია ის ფაქტიც, რომ შეიძლება მოხდეს ეკონომიკის დაბალი განვითარება, რაც გულისხმობს უსაფრთხოების გამოწვევის წინაშე დაყენებას. ეკონომიკის ვარდნა იწვევს ქვეყნის შემოსავლების შემცირებას, უმუშევრობის გაზრდას, რაც თავის მხრივ იწვევს სიღარიბის მიღმა მყოფი მოსახლეობის გაზრდას და ქვეყნის რეგრესს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ შედეგებში კარგად ჩანს საქრთველოს ეკონომიკის ვარდნა. 2005 წლიდან 2008 წლის ომამდე ქვეყანაში მიმდინარეობდა ეკონომიკის ზრდა. 2009 წელს ქვეყნის ეკონომიკა დაეცა 3,7% რაც ქვეყანაში მიმდინარე ომმა გამოიწვია. ომისა და გლობალური კირზის ფონზე ეკონომიკამ ზრდა 7,2%-ით მაინც განაგრძო, 2012-2013 წლის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ვარდნა მერყეობს 4,8%-დან 4,5%-მდე (იხ. ცხრილი 1). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქვეყანა განიცდის სავაჭრო ქვეყნების

დეფიციტს და აქვს მზარდი საგარეო ვალი. ამის ფონზე სიღარიბის და უმუშევრობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

საქართველო და არამხოლოდ, საქარველო მთელი მსოფლიო დღევანდელი რეალობიდან (COVID-19) გამომდინარე დგას ახალი ეკონომიკური გამოწვევების წინაშე. ქვეყანამ უკვე განიცადა 4%-იანი ეკონომიკური ვარდნა. ამის ფონზე ჩნდება კითხვა რამდენად მზად არის ეროვნული უსაფთხოების კონცეფცია გაუმკლავდეს ამ გამოწვევას?!

ცხრილი 1



ეკონომიკის ვარდნა იწვევს მიგრანტთა რაოდენობის ზრდას. საქტატის მონაცემების თანახმად ბოლო ოთხი წლის მანძილზე მიგრანტთა რაოდენობა შეადგენს 76 367 ადმიანს. 2018 წელს IDFI-მ ჩაატარ კვლევა რომლის მიხედვითაც 2017 წელს ფულადი გზავნილები შეადგენდა 1.38 მილიარდ დოლარს. ეს საქართველოს ეკონომიკისთვის ერთ-ერთ დამხმარე რგოლს წარმოადგენს, რადგან

გარკვეულწილად საქართველოს იცავს პოტენციური პოლიტიკური რისკებისაგან, რომელიც სიღარიბეს და უმუშევრობას იწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს არის საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი დამხმარე რგოლი, მაინც რჩება ნეგატიურ ფაქტორად ქვეყნისთვის, რადგან მიგრაციის პროცესი დღემდე გრძელდება. რაც თავის მხრივ იწვევს მეორე უკიდურესობას პოზიტიური დემოგრაფიული განვითარების შეფერხებას. პოზიტიური დემოგრაფიული განვითარება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის და ზრდისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

კონცეფციის კიდევ ერთ ხარვეზს წარმოადგენს ის რომ მასში არ არის განსაზღვრული თუ როგორ გადანაწილდება ეკონომიკური ზრდით გამოწვეული შემოსავლების გადანაწილება. ეს პირდაპირ დაკავშირებულია პოტენციურ პოლიტიკურ პრობლემებთან. სწორედ რომ ხალხის ცხოვრების ხარისხი და დონე განსაზრვრავს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში მთიანი ყარაბახის კონფლიქტს სათანადო ყურადღება არ აქვს დათმობილი. კონცეფციაში ვკითხულობთ: „საქართველოსთვის ასევე გამოწვევაა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კონფლიქტი. ამ ქვეყნების შეიარაღებული დაპირისპირების განახლება შეასუსტებს სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს უსაფრთხოებას და ხელს შეუწყობს რეგიონში რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური გავლენის ზრდას.“(საქართველოს პარლამენტის დადგენილება, „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ,2012 გვ 9). აქედან ჩანს რომ კონცეფცია, მხოლოდ ზოგად სახეს გვაჩვენებს ამ კონფლიქტიდან წარმოშობილი პოტენციური საფრთხეების შესახებ. ვინაიდან ამ კონფლიქტიდან მომდინარე საფრთხეებმა შეიძლება მიშვნელოვანი რყევები გამოიწვიოს საქართველოს უსაფრთოებაში, ამიტომ საჭიროა ზუსტი პოლიტიკური რეკომენდაციები.

ეს კონფლიქტი ატარებს რეგიონალურ ხასიათს, ამიტომ დაპირისპირების გამწვავების შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკას დიდ ზიანს მოუტანს, საფრთხის ქვეშ დადგება ენერგოუსაფრთხოება, ქვეყნის ტერიტორიაზე დასახლებულ

უმცირესობაში გამოიწვევს უთანხმოებას, რაც საბოლოოდ რუსეთთან კიდევ ერთ დაპირისპირებას გამოიწვევს.

მთიანი ყარაბახის კონფლიქტი რთულ ჯაჭვს წარმოადგენს. თუ დავუშვებთ იმ ფაქტს, რომ აზერბაიჯანი შეეცდება კონფლიქტის მოგვარებას ძალის გამოყენებით სომხეთი ამ გამოწვევას მიიღებს იმის მიუხედავად, რომ აზერბაიჯანის თავდაცვის ბიუჯეტი აღემატება სომხეთის მთლიან ბიუჯეტს. თუ სომხეთს ძალები არ აღმოჩნდება საკმარის კონფლიქტის მოგვარებისთვის მას დახმარებას გაუწევს რუსეთი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების საფუძველზე, ეს ხელშეკრულება მხარეებს ვალდებულს ხდის თავისი წევრი ქვეყანა დაიცვას აგრესორისგან. გარდა ამისა სომხეთსა და რუსეთს შორის გაფორმებულია კიდევ ერთი თავდაცვის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების თანახმად სომხეთზე განხორციელებული აგრესიის ან დამარცხების შემთხვევაში რუსეთი ვალდებულია დაიცვას მთიანი ყარაბახი. გასათვალისწინებელია ირანის და სომხეთის გართულებული ურთიერთობაც. არსებობს იმის შანსი რომ ირანიც ჩაერთოს ამ დაპირისპირებაში და იბრძოლოს აზერბაიჯნის მხარეს. ხოლო თურქეთის როლი ამ კონფლიქტში უცნობია. საბოლოოდ კი შეიძლება კონფლიქტმა ფარტო რეგიონალური სახე მიიღს.

საქართველოს ამ კონფლიქტში ნეიტრალური პოზიციის მიუხედავად, ვფიქრობთ, ეს ომი მაინც მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს მასზე. რუსეთმა გამოთქვა პრეტენზია რეგიონში იყოს წამყვანი სახელმწიფო და ეს ომი დაეხმარება მიზნის მიღწევაში, რადგან სომხეთი მნიშვნელოვან სტატეგიულ ელემენტს წარმოადგენს რეგიონში. ომის დროს რუსეთს მოუწევს ჯარების შეყვანა სომხეთში, თუმცა მას არ აქვს სახმელეთო გზა, ამიტომ მოუწევს გადაკვეთოოს ზერბაიჯნის, თურქეთის, ირანის ან საქართველოს საჰაერო/სახმელეთო გზა. აზერბაიჯანი რათქმაუნდა ჩაკეტავს საზღვრებს რუსეთისთვის, თურქეთიც სავარაუდოდ ჩაუკეტავს საზღვრებს, ირანმა შესაძლოა დაიჭიროს სომხეთის მხარე თუმცა ეს მარშუტი რუსეთს ძვირი დაუჯდება. საბოლოდ კი საქართველო რჩება ერთადერთი ოპტიმალური გამოსავალი იმის მიუხედავად რომ რუსეთის შეიარაღებული ძალებისთვის დაკეტილია როგორც საჰაერო ისე სახმელეთო გზა. ამ შემთხვევაში

რუსეთი ზეწოლას მოახდენს საქართველოზე, რათა დაუშვას ტრანზიტული მიმოსვლა. უარის შემთხვევაში იმის ალბათობა დიდია რომ რუსთმა მიმართოს ძალადობრივ ხერხს. არსებობს მეორე უკიდურესობაც მორჩილების შემთხვევაში რუსეთის ძალები გაივლიან ხელისუფლების კონტროლქვეშ, რაც დაძაბულობას გამოიწვევს აზერბაიჯანთან და თურქეთთან. ეს კი თავის მხრივ იწვევს დიდ ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

ჩრდილოეთ კავკასიის პრობლემა საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას არასახარბიელო მდგომარეობას უქმნის. კავკასიის ეს ნაწილი რუსეთის ფედერაციას ეკუთვნის, სადაც ეთნიკური უმცირესობა ცხოვრობს. ექსპერტების აზრით ჩრდილოეთ კავკასიაში არასტაბილური მდგომარეობა გამოწვეულია სოციალური პრობლემებით. 1999 წ. ომის მოგების გზით რუსეთმა შეძლო ჩეჩენი პოლიტიკოსების ნაწილის შემორიგება და მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარება. თუმცა ეს მდგომარეობა როდემდე იქნება შენარჩუნებული რთული სათქმელია.

1999 წელს საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას დიდი ზიანი მადგა, როცა ინგუშებმა და დაღესტნელებმა რუსეთის აგრესიას ამბოხით და ტერორისტული აქტით უპასუხეს. რამაც საქართველოს საზღვრების სერიოზული დესტაბილიზაცია გამოიწვია.

ეს კონფლიქტი დღესაც რჩება საქართველოს უსაფრთხოებისთვის გამოწვევად. არსებობს იმის საშიშროება კონფლიქტის კვლავ გაღვივებისა, რის შემდეგაც შესაძლოა რუსეთმა ისევ განახორციელოს ზეწოლა საქართველოზე, ტერიტორიების გამოყენების მიზნით, რაც თავის მხრივ საფრთხის ქვეშ აყენებს საქართველოს, და რუსეთთან ისედაც დაძაბული ურთიერთობის მაქსიმალურ ესკალაციას.

ამ რისკებისა და გამოწვევების მიუხედავად საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მაინც არ ითვალისწინებს და ყურადღების მიღმა ტოვებს ჩრდილოეთ კავკასიის კონფლიქტს. კონცეფცია ამ ხალხთან უთიერთობების გაღრმავებას მოიაზრებს. თუმცა კონცეფცია ამ მონაკვეთში არ საუბრობს რუსეთთან ურთიერთობაზე ვინაიდან როგორც ავღნიშნეთ ეს ნაწილი შედის რუსეთის ფედერაციაში.

საქართველოს ეროვნული უსაფრხოების კონცეფციის კიდევ ერთ სისიუსტეს წარმოადგენს რუსეთთან ურთიერთობა. რუსეთი, რომელმაც არაერთხელ მოახდინა სუვერენული სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, როგორც აგრესორი და საფრთხე კაცობრიობისთვის.

ამ მსჯელობებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ რომ საქრთველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ბევრ ხარვეზს შეიცავს. კონცეფციაში დადებით მხარეებზე მეტად უარყოფითი მხარეები ჭარბობს. სრულებით არ იქნება უსაფუძვლო, რომ ვთქვათ საქართველოს დღეს არ გააჩნია ეროვნული უსაფრთხოების ეფექტური კონცეფციის დოკუმენტი, რადგან ის საკმაოდ მოძველებულია და არ პასუხობს ქვეყანაში არსებულ დღევანდელ გამოწვევებს და პრობლემებს. ამასთან ერთად ისეთი პატარა, სუსტი და პრობლემების კასკადში გახვეული ქვეყნისთვის 8-9 წელი საკმარისზე მეტი პერიოდია იმისთვის, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია განახლდეს.

საქართველო, რუსეთს ყოველთვის აგრესორ ქვეყანად მიიჩნევს, ამის მიუხედავად 2014 წლის მოვლენები (2014 წელს რუსეთის ფედერაციამ ყირიმის ანექსია მოახდინა და აღმოსავლეთ უკრაინაში განხორციელდა სამხედრო აგრესია) საქრთველოს ხელისუფლებისთვის, ერთგვარი სიგნალი არ ყოფილა, იმისთვის რომ გადაეხედა და განეახლებინა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. თუ გავითვალისწინებთ იმას რომ ეს აგრესია ამა თუ იმ სახით აისახა ყველა იმ ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, რომლებიც რუსეთის ამგვარი ქმედებიდან ხედავდნენ პირდაპდაპირ თუ ირიბ საფრთხეებს.

კიბერუსაფრთხოება

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ ეროვნული უსაფრთხოება ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ინტერნეტ სივრცის და მასთან დაკავშირებული პროცესების სწრაფმა განვითარებამ საჭირო გახადა ახალი სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა, რომელიც ქვეყანას არიდებს კიბერსაფრთხეებს. ყველა სახელმწიფოს მიზანია შექმნან ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც მაქსიმალურად დაიცავს კრიტიკულ ინფორმაციულ ინფრასტრუქტურას და გაატაროს ეფექტური ღონისძიებები კიბეერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ასევე დაიცვას პიროვნების პერსონალური მონაცემები და არსებული მონაცემთა ბაზა.

სანამ უშუალოდ დავიწყებთ კიბერუსაფრთხოებაზე საუბარს, მანამდე მნიშვნელოვანია განვმარტოთ ტერმინი „კიბერსივრცე“. სხვადასხვა ლიტერატურაში ამ ტერმინს განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. თუმცა ყველა თანხმდება, რომ „კიბერსივრცე“ არის კომპლექსური კავშირი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის, რომელიც მოიცავს ინტერნეტის გლობალურ ქსელს, კომპიუტერულ სისტემებს, ტელესაკომუნიკაციო ქსელებს და პროცესებს.

ინტერნეტის შექმნის მიზანი თავდაპირველად იყო თავდაცვის და სამეცნიერო მონაცემების გაზიარება, თუმცა თუ ვიმსჯელებთ დღევანდელი რეალობიდან, დავინახავთ რომ ეს მიზანი რადიკალურად არის შეცვლილი. დღეს ინტერნეტის გავრცელებას და მოხმარებას ბევრად დიდი დატვირთვა აქვს. ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად მხარდამჭერ მექანიზმს წარმოადგენს ინტერნეტის გლობალური ქსელი. თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ პრობლემას. ეს პრობლემა საჭიროებს გლობალური ან რეგიონალური მასშტაბით გადაწყვეტას, თუმცა ყველა სახელმწიფო თავის ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამოდინარე აგვარებს ამ პრობლემას, რაც სრულებით არ არის საკმარისი.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ინტერნეტ სივრცის უსაფრთხოება და ელექტრონული ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა, რადგან ინფორმაციული ტექნოლოგიები არნახული სისწრაფით ვითარდება და იწვევს მასზე სახელმწიფოს კრიტიკული ინფრასტრუქტურის დამოკიდებულებას, შესაბამისად საჭიროა კიბერსივრცეში არალეგალურად შეჭრის აღკვეთა და თავდაცვთი ღონისძიებების გატარება. სწორედ ამიტომ საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას ესაჭიროება ახალი კიბერუსაფრთხოების სამოქმედო გეგმა და სტრატეგიების შემუშავება. ამ საჭიროებების ნათელი მაგალითი იყო 2008 წელი, როცა რუსეთმა ღია აგრესიასთან ერთად განახორციელა კიბერთავდასხმა. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ მანამდე საქართველოს არ გააჩნდა ამ კუთხით არანაირი დადგენილება. ამ კუთხით საქართველომ პირველი დადგენილება საკმაოდ გვიან 2013 წელს მიიღო. მეორედ 2017 წელს მიიღო, თუმცა ამ დოკუმენტის მოქმედების ვადა 2018 წლს ამოიწურა და დღეს საქართველოს ისევ არ აქვს კიბერუსაფრთხოების სამოქმედო გეგამა.

კიბერესაფრთხეები

რუსეთ-საქართველოს ომმა საქართველოს ხელისუფლებას ნათლად დაანახა, რომ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება ვერ იქნება სრულყოფილი კიბერუსაფრთხოების გარეშე. რუსეთმა ტრადიციული ომის პარალელურად განახორციელა კიბერთავდასხმა, რომელიც ზოგიერთმა ექსპერტებმა აღიარესს, როგორც „კიბერ ომი“. კიბერ თავდასხმას საქართველო მოუმზადებელი შეხვდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რუს ჰაკერებს რამე რთული მექანიზმი არ გამოუყენებიათ ქართული სერვერების წყობიდან გამოსაყვანად. ეს მიუთითებს საქართველოს კიბერუსაფრთხოების საკმაოდ დაბალ დონეზე, ტექნიკური სისუსტეების სიმრავლეზე და ელემენტარული კიბერუსაფრთხოების, პრაქტიკულად არ ქონაზე.

კიბერთავდასხმამ საქართველო საკმაოდ რთული რეალობის წინაშე დააყენა, შეუქმნა სერიოზული პრობლემები. ქვეყნის სამთავრობო და კერძო სექტორების-ვებგვერდები პარალიზებული იყო, შეუძლებელი იყო გარე სამყაროსთან კომუნიკაცია. საბოლოდ კი ქვეყანა საეთაშორისო ინფორმაციული ვაკუუმის წინაშე აღმოჩნდა. საქართველომ ამ პრობლემებთან გამკლავება ვერ შეძლო ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო და იძულებული გახდა დახმარება მისი სრატრგიული პარტნიორებისთვის ეთხოვა. მხოლოდ, ესტონეთის კიბერუსაფრთხოების სამსახურის ჩარევის შემდეგ შეჩერდა კიბერთავდასხმა და თავიდან აიცილეს მთლიანი იფრასტრუქტურის განადგურება.

ეს ომი გახდა სიგნალი საქართველოს ხელისუფლებისთვის დაეწყო მუშაობა კიბერუსაფრთხოების განვითარებაზე. ომის შემდეგ ხელისუფლებამ დაიწყო მუშაობა სამართლებრივ-ნორმატიულ ბაზაზე, რის საფუძველზეც 2013 წელს გამოქვეყნდა პირველი დოკუმენტი კიბერუსაფრთხოების სტრატეგია. ამ დოკუმენტის მიღებამდე ხელისუფლებამ 2012 წელს მიიღო კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“. ამ კანონის მიზანია, როგორც დოკუმენტში წერია „ხელი შეუწყოს ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის ქმედით და ეფექტიან განხორციელებას, დააწესოს საჯარო და კერძო სექტორების უფლება-მოვალეობები ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის სფეროში, აგრეთვე განსაზღვროს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები“ (საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ, გვ. 1). ამ კანონში ასევე საუბარია იმ მნიშვნელოვან საფრთხეებზე, რომელიც კიბერშეტევების საფუძველზე წარმოიშვა, ესენია:

„ა) კიბერშეტევა, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სახელმწიფო ინტერესებს ან ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას;

ბ) კიბერშეტევა კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ინფორმაციული სისტემების წინააღმდეგ;

გ) კიბერშეტევა, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს, ორგანიზაციის ან

კერძო პირის ფინანსურ რესურსებს ან/და საკუთრების უფლებას;

დ) სხვა ნებისმიერი ქმედება, რომელიც, მისი ხასიათიდან, მიზნიდან, წყაროდან, მოცულობიდან ან რაოდენობიდან ან მისი აღკვეთისათვის საჭირო რესურსების ოდენობიდან გამომდინარე, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საკმარისი საფრთხის შემცველია“. (საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ, თავი III, მუხლი 8,2012 გვ. 7) .

კანონი საუბრობს იმ საფრთხეებზე,რომელიც კიბერთავდასხმამ შეიძლება გამოიწვიოს და ასევე იმ პორბზე ვინც პასუხისმგებელია დაიცვას კირიტიკული ინფრასტრუქტურა და აირიდოს კიბერ თავდახსმები.

კიბერუსაფრთხოების განვითარება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს. ქვეყანას დღეს ფაქტიურად არ გააჩნია ფუნდამენტური დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც გაატარებს რიგ ღონისძიებებს კიბერთავდასხმების თავიდან ასარიდებლად ან თავდასხმის დროს. კიბერთავდასხმა და მასთან ბრძოლა ყველა ქვეყნისთვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს. ასეთი თავდასხმის დროს ძალიან რთულია ზუსტი განსაზღვრა და დადგენა თუ საიდან ხორციელდება, ვის მიერ ან რომელი ქვეყნის მიერ ხორციელდება კიბერთავდასხმა. დამნაშავეს ან დამნაშავეთა ჯგუფს შეუძლია დამალონ საკუთარი ვინაობა, ადგილმდებარეობა ან ისე მოაწყონ თითქოს სხვა პიროვნებები არიან დამნაშავენი.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის კიბერსაფრთხეებს წარმოადგენს: სახელმწიფოები, კერძო სექტორების წარმომადგენლები, სხვადასხვა სახით და ნიშნით შექმნილი ორგანიზაციები დაფიზიკური პირები, რომლებიც სჩადიან დამაზიანებელ საქმიანობას აღნიშნულ სივრცეში. შეერთებული შტატების კონტროლის პალატა კიბერსაფრთხეებს ყოფს რამდენიმე ჯგუფად, ესენია:

- სახელმწიფო - სახელმწიფო იყენებს სადაზვერვო სამსახურს, რათა კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით, ჯაშუშური ქმედებით შეაგროვონ ინფორმაცია ან გაავრცელონ დეზინფორმაცია,

ასევე გამოიწვიოს დესტაბილიზაცია, დააშინოს ან დაიწყოს ფრთომასშტაბიანი კიბერ ომი. დღევანდელ რეალობაში ასეთ ერთ-ერთ ქმედებად შეგვიძლია განვიხლოთ ჩინური აპლიკაცია "TIK TOK".

- კორპორაციები/კომპანიები - მათი სამიზნე ჯგუფები ძირითადად ქვეყნის ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან. ისინი ძირითადად იყენებენ ჰაკერებს ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფს, რათა დივერსიული საქმიანობებით ან კორუფციული ჯაშუშობით მოიპოვონ ინფორმაცია. ისინი არღვევენ ადამიანის უფლებებს და აგროვებენ პერსონალურ მონაცემებს, შემდეგ ამ მონაცემებს სახელმწიფო ორგანოებთან ან სხვა დაინტერესებულ პირებთან ცვლიან.
- ჰაკერები - მათი საქმიანობა ატარებს კრიმინაურ ხასიათს. ჰაკერები კიბერშეტევისთვის იყენებენ სხვადასხვა ვირუსებს, აპლიკაციებს, ასევე ინტერნეტიდან გადმოწერილ შესაბამის ინსტრუქციებს და პროტოკოლებს. ჰაკერული მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ: კომპანიებს, კორპორაციებს, სადაზვერვო და სხვა სახის სპეციალურ სამსახურებს. მათ სამიზნეს წარმოადგენს დაწყებული უბრალო მოქალაქიდან დამთავრებული სახელლმწიფო სტრუქტურებით.
- ჰაკტივისტები - ეს ტერმინი ნიშნავს სოციალური პროტესტის გამოხატვის ახალ მოვლენას, რომელიც წარმოადგენს თავისებურ სინთეზს

  რაღაცის მიმართ გამოხატული პროტესტის სოციალური აქტიურობისა და ჰაკერობის გზით. მათ სამიზნე ობიექტს წარმოადგენს ვებ-გვერდები ან საფოსტო სერვისებს. ვებ-გვერდების დაზიანებით ან წყობიდან გამოყვანებით ცდილობენ პოლიტიკური მიზნის მიღწევას.
- კიბერ დივერსანტები ქსელის უკმაყოფილო მომხმარებელთა რიცხვიდან - ეს კატეგორია სერიოზული საფრთხის მატარებელნი არიან, ვინაიდან მათ ყველაზე კარგად იციან სისტემის მუშაობის პრინციპები და შეუძლიათ ეს ცოდნა არაკეთილსინდისიერად გამოიყენონ სისტემის დაზიანების ან კონფიდენციალური ინფორმაციის მოპარვის მიზნით.

- ტერორისტები - ეს იმ ადამიანთა ჯგუფია, რომელიც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნისთვის. მათი კიბერშეტევები სერიოზულ ზიანს აყენებს ქვეყანას, იწვევს ადამიანთა მასიურ განადგურებას, ასუსტებს ეკონომიკას, ზიანს აყენებს საზოგადოების მორალურ მდგომარეობასა და ამცირებს მათ სანდოობას ხელისუფლების მიმართ. ისინი მიზნის მისაღწევად ანადგურებენ ან აზიანებენ კრიტიკულად მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურას.
- ბოტნეტი - ეს არის ფარული ვირუსული პროგრამა, რომელიც ყენდება მსხვერპლის კომპიუტერულ მოწყობილობაში, შესაბამისად დამნაშავეს წვდომა აქვს მსხვერპლის პირად მონაცემებზე და შეუძლია გზარკვეული მოქმედებების შესრულება. ჰაკერების ეს სახეობა თავისი პროგრამებით ავირუსებენ კომპიუტერების დიდ რაოდენობას, რომელთა რესურსებსაც შემდეგ იყენებენ კიბერშეტევის კოორდინირებისთვის, ასევე „სპამის“ გასაგზავნად, ფიშინგისთვის და სხვა მავნე ქმედებისთვის. მსგავსი სახის ქსელები წარმოადგენენ არალეგალური ვაჭრობის ობიექტს; ბოტების თავდასხმა სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება საქართველოში..
- ფიშერები - არან ფიზიკური პირები ან მცირე ზომის დაჯგუფება, რომლთა მიზანია ფიშინგის ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით მოიპარონ პერსონალური რეკვიზიციები და გაყიდონ ფასიანი ინფორმაციები. ისინი ძირითადად იყნებენ „სპამებს“ და ჯაშუშურ პროგრამებს.
- სპამერები - კიბერთავდასხმისთვის იყენებენ არამოთხოვნად ელექტრონულ ფოსტას, რომელიც დაფარულია ან შეიცავს მცდარ ინფორმაციას. ამას იურიდიული ან ფიზიკური პირები იყენებენ.
- ჯაშუშური და მავნე პროგრამების შემქმნელები - ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებსაც გააჩნიათ დანაშაულებრივი ზრახვები კომპიუტერების მომხმარებლებზე კიბერშეტევის განსახორციელებლად;

- პედოფილები - ეს კატეგორია სულ უფრო აქტიურად იყენებს ინტერნეტს საბავშვო პორნოგრაფიის გასავრცელებლად, ასევე სოციალური ქსელებისა და ინტერნეტ ჩათების გამოყენებით, პოტენციური მსხვერპლების გასაცნობად. ამის მაგალითია სოციალუ ქსელებში გავრცელებული თამაში „ლურჯი ვეშაპი“ რომელმაც ბევრ არასრულწლოვანს უბიძგა სუიციდისკენ.

საქართველოს კიბერსივრცის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს კიბერსაფრთხეების წყაროები, რადგან ამ წყაროებს იყენებენ, როგორც კრიმინალური სამყარო, ასევე სხვა ქვეყნის სადაზვერვო ან სხვა სახის სპეციალური სამსახურები. ქვეყნისთვის ასევე გამოწვევა კიბერსაფრთხეების სახეობები,რომლებიც თავის მხრივ იყოფა ქვესახეობებად, კერძოდ კი:

1. მონაცემთ მთლიანობა - კიბერთავდასხმის მიზანია მონაცემთა მთლიანობის განადგურე ან დამახინჯებული ცვლილებები.
    - პროპაგანდა და დეზინფორმაცია - მოწინააღმდეგის მხრიდან ქვეყანაში არასწორი ინფრომაციის შეყვანა და გავრცელება ან არსებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანა.
    - დაშინება - სახელმწიფო მოხელის, ფიზიკური ან იურიდიული პირების ვებ-გვერდებზე შეტევების განხორციელება, რათა იძულებით წაშალონ ან შეცვალონ საიტის შინაარსი.
    - განადგურება - სხვა ქვეყნისთვის განზრახ ზიანის მიყენება, მონაცემების მუდმივი და მიზანმიმართული განადგურებისთვის.
2. დაშვება - კიბერთავდასხმის დროს სისტემის კანონიერ მფლობელს აღარ შეუძლია სისტემაში შესვლა და არსებული რესურსების გამოყენება ან შეიძლება სისტემაზე დაშვებაზე ეთქვას უარი
    - საგარეო ინფორმაცია - კიბერშეტევის შედეგად სახელმწიფოს და კერძო სექტორებს სერვისზე ღია წვდომა აღარ შეუძლიათ. კერძოდ, მასიური საინფორმაციო საშუალებებისა და სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურების საინფორმაციო საიტებია სამიზნე

- შიდა ინფორმაცია - კიბერშეტევა ლოკალური ხასიათის სახელმწიფო და კერძო სექტორებზე მაგ: ენერგეტიკული და სატრანსპორტო მართვის სისტემებზე, ელექტრონული ბანკინგის საიტებზე, ოპერატიული მმართველობის სისტემებზე, კორპორატიული სერვისების ელექტრონულ ფოსტაზე, სამაშველო სამსახურებსა და ა. შ.

3. კონფიდენციალობა - კიბერთავდასხმის სამიზნეს წარმოადგენს გასაიდუმლოებული ინფორმაციის წყაროები
    - ჯაშუშობა - ინფორმაციის მოპოვება არალეგალური გზებით
    - პერსონალური მონაცემების მოპარვა - მოტყუების გზით პერსონალური ინფორმაციის გამოძალვა მაგ. ვირუსების გაგზავნა, აპლიკაციები, რომლებიც მსხვერპლს აიძულებს მონცემებზე წვდომის დაშვებას.
    - „პიროვნების მოპარვა“ - მომხმარებლის პირადი რეკვიზიტების მოპარვა
    - ინფორმაციის მოძიება საერთასორისო ქსელში - „სხვადასხვა სახის ინფორმაციის, კერძოდ, პერსონალური მონაცემების მოპოვების მიღების მიზნით, გამოიყენება ღია წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვების ტექნოლოგიები“; (სვანაძე, 2015, 121)
    - მაქინაციები - მოტყუებით თანხის გამოძალვა, რომელიც ძირითადად ხორციელდება სპამის და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

საქართველოს ხელისუფელაბა მუშაობს ახალ კიბერუსაფრთხოების სტატეგიებზე და სამოქმედო გეგმაზე. ამ პროცესში მნიშვნელოანია გნსაზღვრონ და სწორად შეაფასონ კიბერსაფრთხეების წარმოშობის წყაროები და სახეობები. ახალ დოკუმენტის შედგენაში მნიშვნელოვანია სტრატეგიული ქვეყნების და პოტენციური მოწინაღმდეგე ქვეყნების განსაზღვრა და მათი გამოცდილებების გაზიარება.

პოტენციური მოწინააღმდეგე ქვეყნები

კიბერსივრცის დაცვის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია საქართველომ გაიზიაროს მეგობარი ქვეყნების გამოცდილება და ითანამშრომლოს მათთან. ასევე

მნიშნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნისთვის სტრატეგიული პარტნიორისა და პოტენციურად მოწინაღმდეგე ქვეყნების განსაზღვრა.

ანალიტიკოსები კვლევის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ მსოფლიო ადრე თუ გვიან ახალი ტიპის კიბერ-ომში ჩაებმება. ამ ომში არ იქნება გამოყენებული ფიზიკური ძალა და საბრძოლო ტექნიკა. კიბერ ომი იქნება გაცილებით დახვეწილი, რომლის დროსაც სტრატეგიულ დონეზე შემუშავებულმა ამოცანამ შესაძლოა გაცილებით დიდი ზიანი გამოიწვიოს, ამავდროულად შეიძლება მოწინაღმდეგემ განიცადოს კოლოსალური ზიანი. ამ ომის დახვეწილობა მდგომარეს იმაში, რომ თავდასხმა განხორციელდება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროებზე, მაგალითად: საბანკო სექტორზე, ჯანდაცვის სფეროზე, ენერგეტიკულ სფეროზე, ასევე კიბერ-ომის სამიზნე შეიძლება გახდეს კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტები. ყველაზე დაუცველ სექტორებს წარმოადგენს:

- საბანკო და სხვა საფინანსო სექტორები;
- საფონდო ბირჟები;
- ბირთვული ელექტროსადგურები;
- წყალ მომარაგების და გამწმენდი სისტემები;

კიბერ-ომი ალბათ გაცილებით დამანგრეველი იქნება ნებისმიერი ქვეყნისთვის, ვიდრე ტრადიციული ომი, რადგან ზემოთ ჩამოთვლილი ყველაზე დაუცველი სექტორების შეფერხება ან განადგურება გამოიწვევს, სახელმწიფო სტრუქტურების ყველა დონის პარალიზებას, მასიური არეულობას და სამოქალაქო პანიკას. ასევე არ არის გამორიცხული ამან გამოიწვიოს ადამიანების სიცოცხლის მასიური განადგურება.

მსოფლიოსი 6 ძირითადი მოთამაშე ჰყავს, ესენია: ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი, ირანი, ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა და ისრაელი. აშშ-ის გარდა დანარჩენი ქვეყნები თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე არ ერიდებიან გლობალური მაშტაბით კიბერთავდასხმას. ხოლო უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი ქვეყნები მცირე მსაშტაბიანი კიბერშეტევებით შემოიფარგლებიან. ამ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ზოგიერთი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსთვის.

ამის ფონზე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დაცვა კიბერშეტევებისგან კრიტიკულად მნიშვნელოვანია. სწორედ, ამიტომ ხელისუფლებამ უნდა განსაზღვროს სტრატეგიიული პარტნიორები, პოტენციური მოწინააღმდეგე ქვეყნები და ის ორგანიზაციები, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ. ასევე მნიშვნელოვანია ორგანიზაციებთან პარტნიორობის და თანამშრომლობის შესაძლებლობა მაქსიმალურად იქნეს მიღწეული.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მეტნაკლებად ყურაღებას ამახვილებს რუსეთიდან მომდინარე საფრთხებზე (ტერიტორიების ოკუპირება, სამხედრო ძალების შემოჭრა და ა.შ), თუმცა ამ დოკუმენტიში ყურადღება არ არის გამახვილებული რუსეთიდან მომდინარე კიბერსაფრთხეებზე. იმის მიუხედავად, რომ რუსეთმა 2008 წელს კიბერშეტევის შედეგად საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა კრიტიკულ ინფრასტრუქტურის დიდ ნაწილს. თუმცა ეს არ ყოფილა პირველი და უკანასკნელი კიბერთავდასხმა რუსეთის მხრიდან. იგი შემდეგ წლებშიც აგრძელებდა თავდასხმას. 2009 წელს რუსეთის სპეცსამსახურებმა განახორციელეს კიბერთავდასხმა ქართულ პოპულარულ საიტზე „სოხუმი“. საიტის მიზანი იყო გაევრცელებინა ინფორმაცია 2008 წლის ომზე. კიბერთავდასხმის მიზანი იყო დაებლოკათ ამ საიტზე გავრცელებული ინფორმაცია. ამით ნათელი ხდება, რომ მათი მიზანია ინტერნეტ სივრციდან გააქრონ ყველა ის ვებგვერდები, რომელიც მხარს უჭერს ქართულ სახელმწიფოებრიობას და ინტერესებს

ვლადიმერ სვანაძეს თავის ნაშრომში მოყვანილი აქვს აშშ-ს ნახევრად სამთავრობო ორგანიზაციის FireEye-ის კვლევების შედეგები, რომლის თაანახმადაც რუსეთი 2008-2014 წლებში სისტემატიურად ახორციელებდა კიბერშეტევებს შინაგან და საგარეო საქმეთა სამინისტროებზე.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს (აზერბაიჯანი, სომხეთი) და თურქეთს მიაზრებს სტრატეგიულ მეზობელ ქვეყნებად. დოკუმენტში საუბარია იმაზე თუ როგორ უნდა წარმართოს ამ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთერთობები. თუმცა ეს დოკიმენტი არ საუბრობს ამ ქვეყნების მხრიდან კიბერშეტევებზე და ქართულ კიბერსივრცეში არასანქცირებულ შეღწევის ფაქტებზე. წინა თავში ვისაუბრეთ ყარაბახის კონფლიქტზე და ისიც

ავღნიშნეთ, რომ რუსეთი და სომხეთი მოიაზრებიან ერთმანეთის სტრატეგიულ პარტნიორებად. კონფლიქტის გაღვივებამ, რიგი მიზეზების გამო, შეიძლება გამოიწვიოს სომხეთის არაპირდაპირი პოტენციური მოწინააღმდეგედ ჩამოყალიბება. არ არის გამორიცხული, რომ სომხეთის ტერიტორიიდან განხორციელდეს კიბერშეტევა ქართულ კიბერ სივრცეზე.

მიუხედავად, იმისა რომ დღეს საქართველოს ირანთან არ აქვს ცუდი ურთიერთობა, რომელიც სავაჭრო-ეკონომიკით შემოიფარგლება ეს ქვეყანა, მაინც წარმოადგენს პოტენციურ საფრთხეს საქართველოს კიბერსივრცისთვის. ირანის ინტერესი სამხრეთ კავკასიის მიმართ დიდია. ეს ინტერესი გამოწვევულია ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებით და კასპიის ზღვის აზერბაიჯნის მონაკვეთზე ნავთობის და გაზის დიდი მარაგის არსებობით. ირანმა თავისი გავლენის გაფართოების მიზნით რუსეთი აირჩია სტრატეგიულ პარტნიორად. დღეს რუსეთი და ირანი მოიაზრება ორმხრივ სტრატეგილ პარტნიორებად. სწორედ, ამიტომ საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაში ირანი უნდა მოიაზროს პოტენციურ მოწინაღმდეგე ქვეყანად და განსზღვროს მისგან მომდინარე საფრთხეები.

სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნები

როგორც ზემოთ იყო ნახსენები საქართველოს კიბერ უსაფრთხოების განვითარებისთვის და შესაბამისი გეგმები და სტრატეგიების შემუშავებისთვის მნიშვნელოვანია ჰყავდეს სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნები, რადგან გაიზიაროს მათი ცოდნა და გამოცდილება. საქართველოსთვის სტრატეგიულ ქვეყნებს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატრბი, ესტონეთი, დიდი ბრიტანეთა და ა.შ.. ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირისა და ალიანსის სხვა წევრი ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და მათთან თანამშრომლობა. მოკლედ მიმოვიხილავ აშშ-ს, ესტონეთის და დიდი ბრიტანეთის კუბერუსაფრთხოების სტრატეგიებს.

კიბერუსაფრთხოების სფეროში, ყველა თანხმდება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ლიდერი ქვეყანაა. ამის მიუხედავად ქვყნის ხელისუფლება არ წყვეტს ამ სფეროს განვითარებას და ყოველწლიურად მილიარდობით დოლარს ხარჯავს. კიბერუსაფრთხოების განვითარებაში მონაწილეობას იღებენ, როგორც სამთავრობო ასევე არასამთაავრობო ორგანიზაციებიც, რომელთაგან მსოფლიოს აღიარება მოიპოვა ISCA და FireEye. აშშ-ს მთავრობამ თავდაცვის სექტორში დანერგა C4ISR, რომელიც პასუხისმგებელია არმიაში კომპიუტერული სისტემების უსაფრთხოებაზე. ამერიკის კიბერთავდაცვის სტრატეგიის საფუძველს წარმოადგენს მთავრობის, საერთაშორისო პარტნიორებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობას.

ესტონეთი საქართველოსთვის, ალბათ, ყველაზე მისაბაძი მაგალითია, რადგან ესტონეთიც გახდა რუსეთის კიბერთავდასხმის მსხვერპლი 2007 წელს. ქვეყნისთვის კიბერსივრცის დაცვა გახდა პრიორიტეტი, ამიტომ ატარებდა სარეკომენდაციო ღონისძიებებს, რომელიც სამოქალაქო ხასიათს ატარებდა და ეფუძვნებოდა სამართლებრივ რეგულაციებს და სწავლებას. სწორედ ამ მიზნით 2008 წელს შემუშავდა კიბერუსაფრთხოების სტრატეგია. სტრატეგიის განხორციელებაში უშუალოდ მონაწილეობდა რამოდენიმე სამინისტრო და მათი ქვედანაყოფები, შესაბამისად ქვეყანას არ აქვს ერთიანი სახელმწიფო ორგანო რომელიც ამაზე იქნება პასუხისმგებელი. ამ ორგანოებიდან ეკონომიკის და კავშირგაბმულობის სამინისტრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. სამინისტროს დაქვემდებარებაშია ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების ორი ორგანო. მათი მოვალეობაა კიბერუსაფრთხოების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება.

ესტონეთმა მოახერხა მცირე დროში გამხდარიყო ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა ამ დარგში. ეს ქვეყანა საკმაოდ სწრაფად განვითარდა და მიაღწია განვითარების მაქსიმუმს, შესაბამიდა დიდი გამოცდილება და ცოდნა დააგროვა. უნდა ითქვას, რომ ესტონეთი მოცემული დარგის მიმართულებით არის დიდი კონტრიბუტორი როგორც NATO – ში, ისე EU - ში.

დიდი ბრიტანეთი ამ საკითხს კომპლექსურად უყურებს. სწორედ ამიტომ კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო სუბიექტები, მრეწველობის ყველა დარგის წარმომადგენელი,სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანოები და საერთაშორისო პარტნიორები.

ბრიტანეთის კიბერუსაფრთხოების მიზანია ქვეყანა გახდეს წამყვანი ინფორმაციულ და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში, ინოვაციების ინვესტიციების და ხარისხიანი მომსახურეობების მიხედვით. ამ დოკუმენტის საფუძველზე შეიქმნა ორი ახალი ორგანიზაცია: პირველი, მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურაში შემავალი კიბერუსაფრთხოების სამმართველო, რომლის მიზანია სტრატეგიული ხელმძღვანელობის და უწყებათაშორის დონეზე შეთანხმებული მოქმედება. მეორე, კიბერუსაფრთხოების ოპერატიული ცენტრი. ეს არის უწყება რომელიც განსაზღვრავს არსებულ რისკებს, რომელიც ემუქრება ქვეყნის კომპიუტერულ ქსელებს და მათ მომხმარებლებს. ასევე მის ვალდებულებაშია გამოუშვას რეკომენდაციები და შექმნას შესაბამისი სახელმძღვანელო.

სოციალური მედია და კიბერუსაფრთხოება

სოცალური მედია გარკვეულ როლს თამაშობს ეროვნულ უსაფრთხოებაში. გარდა იმისა რომ მას აქვს დადებითი მხარეები ის ასევე, შეიძლება პოტენციური საფრთხის მატარებელი იყოს, როგორც ქვეყნისთვის, ასევე ცალკეული ადამიანებისთვის. მისი გამოყენება და გავრცელება ძალიან სწრაფად ხდება, შესაბამისად მასში გავრცელებული ინფრომაციაც ელვისსისწრაფით ვრცელდება, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს აზრთა სხვადასხვაობას და დაპირისპირებას მომხმარებლებს შორის. სოციალრი მედია ჯერ ბოლომდე შესწავლილი არ არის და ანალიტიკოსები ვერ ყალიბდებიან სოციალური მედიის ერთ განმარტებაზე. მაგალითად, ბრუს ლინდსი თვლის, რომ „ტერმინი სოციალური მედიის შესახებ განეკუთვნება ინტერნეტ - ბმულებს, რომლებიც იძლევა ადამიანთა შორის

ურთიერთობის საშუალებას, რესურსებისა და ინფორმაციის ერთობლივ გამოყენებას. სოცილური მედია თავისთან მოიცავს სადისკუსიო ფორუმებს, ბლოგებს, ჩათებს, YouTube channels, LinkedIn, Facebook და Twitter. სოციალურ მედიასთან დაშვება შეიძლება მივიღოთ კომპიუტერის დახმარებით, აგრეთვე სმარტფონების, ფიჭური კავშირისა და მობილური ტელეფონების მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით“ (კიბერ თავდაცვა, ვლადიმერ სვანაძე, 2015 გვ 172). ხოლო ბობი ლუისი თვლის, რომ „ბლოგების, YouTube, Flickr, MySpace და Facebook ისეთ ინტერნეტ - საშუალებას, რაც ჩვეულებრივ ადამიანს საშუალებას აძლევს შექმნას კონტენტი, რომელსაც გაუზიარებს მსოფლიო აუდიტორიას. მოცემული საშუალებების ინტერაქტიულმა ხასიათმა შეცვალა მასიური საინფორმაციო საშუალებების ცალმხრივი გავრცელებიდან ორმხრივი დიალოგისკენ“ (კიბერ თავდაცვა, ვლადიმერ სვანაძე, 2015 გვ 173).

სოციალური მედიის გამოყენების კოეფიციენტის გაზრდა გამოიწვია მისმა დინამიურობამ, ოპერატიულობამ, ინფორმაციის გავრცელების სისწრაფემ, ის ასევე არის ინტერაქტიული. სოციალური მედიის გამოყენების დროს მომხმარებელს ვირტუალურ სივრცეში შეუძლია შექმნას, გააქტიუროს და მართოს თავისი პირადი პროფილი, დაიმკვიდროს თავისი ადგილი არარეალურ სამყაროში. თუმცა ეს რამდენად კარგია ან ცუდი ძნელი სათქმელია, რადგან აზრები ორად იყოფა.

საქართველოს კიბერუსაფრთხოების წინააღმდეგ სოციალური მედია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც იარაღი. ანუ გამოიყენონ ინფორმაციული ომი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თავდამსხმელი მოწინააღმდეგის საინფორმაციო სისტემის პარალიზებულს ხდის, რათა მოიპოვოს უპირატესობა. ამისთვის იგი ავრცელებს დეზინფორმაციას ან ავრცელებს მისთვის საჭირო კონტექსტის შემცველ ინფორმაციას. ეს პრობლემა საქართველოში საკმოდ აქტიურია, რადგან რუსეთი აქტუალურად იყენებს ამ თავდასხმას საქართველოზე. ბოლო ირიბ თავდასხმად რაც შეიძლება განვიხილოთ ერთ-ერთი რუსული ტელევიზიის მიერ გაშუქებული სიუჟეტი სადაც საქართველოს რუქა არის დამახინჯებული და ოკუპირებულ ტერიტორიებს არ თვლიან საქართველოს ნაწილად.

სოციალურ ქსელებს არაკეთილსინდისიერად იყენებენ, ქვეყნები, ტერორისტები, კრიმინალური ორგანიზაციები, საპროტესტო და რეულუციური ჯგუფები და სახელმწიფო მოხელეები. ყველა ეს ორგანიზაციები, დაჯგუფებები ქვეყნები, თუ სახელმწიფო მოხელეები აზიანებენ ქვეყნის უსაფრთხოებას. ყველა მათგანი იყენებს სხვადასხვა ხერხებს კიბერ თავდასხმისთვის, მაგალითად: მოსახლეობაში დეზინფორმაციის გავრცელება, დაშინება, კონფიდენციალური ინფორმაციის გასაჯაროება, პირადი ინფორმაციის მოპარვა და გასაჯარაობა და ა.შ.

დასკვნა

კვლევის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, რიგი გამოწვევების წინაშე დგას, როგორც საშინაო ასევე საგარეო კუთხით, ამიტომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია საქართველოს ჰქონდეს კონცეპტუალური და სტრატეგიული დოკუმენტები, რომელიც ერთგვარი სახელმძღვანელოების როლს შეასრულებს და ხელისუფლებას მიმართულებებებს უჩვენებს უსაფრთხო პოლიტიკის დაგეგმაში, გატარებაში და საშუალებას მისცემს ადეკვატური ნაბიჯები გადაგას ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებული პრობლემების და პოტენციური საფრთხეების დროს.

ამ დოკუმენტის არსებობა და არა მხოლოდ არსებობა, მათ სწორი განსაზრვრა საქართველოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანია. საქართველოს არც თუ ისე შორეულმა ისტორიამ ნაწილობრივ განსაზღვრა მისი დღევანდელი მდგომარეობა. ქვეყანას ბევრ კრიტიკულ პრობლემებთან (1990-93 წლებში მომხდარი დაპირისპირება, 1992წლის სახელმწიფო გადატრიალება, 2003 წლის „ვარდების რევულუცია“ და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი) ბრძოლა მოუწია. ამ კონფლიქტებმა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ყველა სისტემა კრიტიკულ დონემდე მიიყვანა.

„ვარდების რევულუციის“ შემდეგ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებაშ მცირე პოზიტიური ცვლილებები დაიწყო. 2005 წელს საქართველოს შემუშავებული ჰქონდა პირველი უსაფრთხოების კონცეფცია, სადაც მეტნაკლებად იყო განხილული საშინაო და საგარეო პრობლემები. ამ დოკუმენტში პირველად იყო აღიარებული ეთნიკური უმცირესობების როლი დემოკრატიული პროცესების განვითარებაში და მათი უფლებები გათანაბრებული იყო უმრავლესობის უფლებებთან. ეს ნაწილი კონცეფციაში ყველაზე მთავარ დადებით მხარეს წარმოადგენს.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს თუ გავიხსენებთ დავინახავთ, რომ მხოლოდ ამ დოკუენტის შემუშავება არ აღმოჩნდა საკმარისი რუსეთის მხრიდან წამოსული აგრესის ასაცილებლად და საპასუხოდ. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ორი სახის ომს აწარმოებდა, კლასიკურს „კიბე ომს“. საქართველოს ხელისუფლებისთვის ეს კონფლიქტი ერთგვარი სიგნალი უნდა ყოფილიყო შესაბამისი და ადეკვატური რეფორმების გასატარებლად. რუსეთის გეოპოლიტიკური ხედვები საქართველოს არც თუ ისე სახარბიელო მდოგომარეობას უქმნის. საქართველო რუსეთისთვის ერთგვარ პაიკის როლლ ასრულებს თავისი მიზნების მისაღწევად. რუსეთი დღემდე არგრძელებს საქართველოს ტერიტორიების ე.წ „ბორდერიზაცია“-ს.

რეგიონის არასტაბილური მდგომარეობა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლტიკას პოტენციურ საფრთხეებს უქმნის. სამხრეთ კავკასიაში მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გაღვივება ეროვნულ უსაფრთხოებას დიდ დარტყმას მიაყენებს ეკონომიკურ და ენერგეტიკის კუთხით. ასევე არსებობს იმის ალბათობა იმის რომ რუსეთ- საქართველოს კონფლიქტი ისევ გაღვივდეს და არ არის გამორიცხული ეს ომი გაცილებით დიდი ზიანის მომტანი იქნება. ასევე კონცეფციაში ზუსტად და მკაფიოდ არ არის გაწერილი სტრატეგიები და სამოქმედო გეგმა ჩრდილოეთ კავკასიასთან მიმართებაში. მართალია რეგიონის ეს ნაწილი შედარებით სტაბილურია, თუმცა მაინც იგრძნობა დაძაბულობა ეთნიკურ უმცირესობასა და რუსეთს შორის. რათქმაუნდა, მნიშვნელოვანია საქართველომ ამ ეთნიკურ უმცირესობასთან დაამყაროს მეგობრული ურთიერთობა, თუმცა ვფიქრობ, რომ ხელისუფლება დაუფიქრებელ ნაბიჯებს დგამს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი,

რომ ეს ნაწილი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შედის. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გადადგმული თითეული ნაბიჯი ჩრდილოეთ კავკასიის ეთნიკური უმცირესობის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად რუსეთმა შეიძლება აღიქვას საფრთხედ და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რაც ქვეყანის უსაფრთხოების განადგურებისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება.

ქვეყნის შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთ მთავარ რგოლს წარმოადგენს. 2012 წელს განახლებული კონცეფცია ამ კუთხით ვერ პასუხობს დღევანდელ გამოწვევებს. ქვეყანაში მიმდინარეობს ეკონომიკური ვარდნა, რაც იწვევს ხალხის კეთილდღეობის ვარდნას, ასევე მიგრანტთა რაოდენობის ზრდას. გარე მიგრაციის ზრდა თავის მხრივ იწვევს პოზიტიური დემოგრაფიის განვითარების შეფერხებას.

კონცეფციაში ასევე არ არის განსაზღვრული შემოსავლების გადანაწილება. ამ პრობლემას მივყავართ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან . საქართველოს შიდა პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობის ერთ-ერთ მთავარ რგოლს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეები. თუ არ იქნება დაკმაყოფილეული მათი ფუნდამენტური უფლება, შესაბამისად ქვეყანაშ მიმდინარე შიდა პოლიტიკური პროცესებიც არ იქნება პოზიტიური ხასიათის.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების, კიდევ ერთ გამოოწვევას წარმოადგენს კიბერ სივრცის დაცვა. ამ სფეროს დაცვა და განვითარება მნიშვნელოვანია, როგორც თითეული მოქალაქის უსაფრთხოებისთვის, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების უსაფრთხოებისთვვის. თანამედროვე ტექნოლოგიების და ინტერნეტის სწრაფმა განვითარებამ და მოხმარებამ გამოიწვია ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურის დამოკიდებულება.

ქვეყნის კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიზნების, სტრატეგიების და სამოქმედო გეგმის გაწერა მნიშვნელოვანია, რადგან რეგიონიდან არსებობს პოტენციური საფრთხეების მოდინების რისკები. რუსეთი და ირანი ეს ორი ქვეყანა ყველაზე მაღალი რისკიმმატარებელია საქართველოს

კიბერუსაფრთხოებისთვის. საღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ეს ქვეყნები ამ სფეროში გლობალურ მოთამაშეებს წარმოადგენენ. მათ მიერ განხორციელებული კიბერთავდასხმა ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას, ფაქტიურად უუნაროს გახდის. პარალიზებული იქნება ეკონომიკის ყველა სექტორი, ჯანდაცვის და ენერგეტიკის სფეროები. ანუ შესაძლოა საქართველო ახალი ტიპის ომში ჩაერთოს თავისი ნების საწინააღმდეგოდ. მიუხედავად ამ რისკებისა საქართველოს კიბერსივრცეს 2019 წლიდან არ აქვს კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

საბოლოოდ კვლევის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება დგას ბევრი ახალი გამოწვევის წინაშე და მას არ აქვს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, კონცეფცია საკმაოდ მოზველებულია, რითიც მტკიცდება, რომ საქართველოს კონცეპტუალური და სტრატეგიული დოკუმენტები მოძველებულია და არ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, ადრე თუ ჰაერში, წყალზე და ხმელეთზე ამ სამ სივრცეში მიმდინარეობდა პაექრობა დღეს კიდევ 2 სივრცე არის ბრძოლის ასპარეზი, კოსმოსი და კიბერსივრცე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დავით დარჩიაშვილი, „უსაფრთხოების სექტორის რეფორმა საქართველოში 2004-2007“, თბილისი, მშვიდობიისა და განვითარების კავკასიის უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი, 2008

2. ეპიფინე (ედიშერი) გვენეტაძე, „საერთაშორისო ურთიერთობებისასპექტები“, თბილისი, იურისტების სამყარო, 2017, გვ 291

3. ვლადიმერ სვანაძე და ანდრია გოცირიძე, „კიბერ თავდაცვა კიბერსივრცის მთავარი მოთამაშეები. კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, სტრატეგია და გამოწვევები“

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო. თბილისი 2015 წელი, გვ 172, 173, 182

4. ს. ნილ მაკფარელი, „საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება“, თბილისი, სოციალური მეცნიერებათა ცენტრი, 2012.

5. საქართველოს პარლამენტის დადგენილება, ,,ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 21 მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 1822 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს ,,საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია”. №1895–რს. თბილისი 2005 წლის 8 ივლისის

6. საქართველოს პარლამენტის დადგენილება, „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21 მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 1822 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“. №5589–რს. თბილისი, 2011 წლის 23 დეკემბერი.

7. საქართველოს მთავრობის დადგენილება, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და სამოქალაქო წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ჰ1“ პუნქტის გათვალისწინებით „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კორცინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 და მე-4 პინქტის შესაბამისად დამტკიცდა „საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2017-2018 წლების სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა.“ N14. თბილისი 2017წლის 13 იანვარი.

8. გიორგი ლომთაძე, 2017, თბილისი, რუსეთის რბილი და ხისტი ძალა საქართველოს წინააღმდეგ

https://idfi.ge/ge/russias_soft_and_hard_power_in_georgias

(09.06.2020)

9.გიორგი ბილანიშვილი, 2018, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები და საქართველოს უსაფრთხოებისსისტემა

https://www.gfsis.org/ge/blog/view/781

(22.05.2020)

10. IDFI, 2015, თბილისი, საქართველოს შეცვლილისაზღვრები ოკუბაციის შემდეგ

https://idfi.ge/ge/changed-borders-of-georgia-after-occupation

(28.05.2020)

11. EMC, 2015თბილისი შს სამინისტროს რეფორმის პროცესი.

https://emc.org.ge/ka/products/emc-is-shefasebebi-shss-s-reformastan-dakavshirebit
(04.06.2020)